



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის

განკარგულება

N 17
29/05/2020

17-0-4-202005291522




**ა(ა)ი.პ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის
ცენტრის“**

დირექტორის თენგიზ მოსულიშვილის ანგარიში სიღნაღის მუნიციპალიტეტში
კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების მიზნით გაწეული მუშაობისა და
შემდგომი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა
შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის
კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტისა და ა(ა)ი.პ. „სიღნაღის
მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“
დირექტორის 2020 წლის 22 მაისის №13. წერილის საფუძველზე, სიღნაღის
მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)ი.პ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორის თენგიზ
მოსულიშვილის ანგარიში სიღნაღის მუნიციპალიტეტში კორონავირუსის (COVID-
19) გავრცელების მიზნით გაწეული მუშაობისა და შემდგომი გავრცელების
თავიდან აცილების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ (თან ერთვის) და
გადაწყვიტა:

- 1.. ა(ა)ი.პ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
დაცვის ცენტრის“ დირექტორის თენგიზ მოსულიშვილის ანგარიში
სიღნაღის მუნიციპალიტეტში კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების
მიზნით გაწეული მუშაობისა და შემდგომი გავრცელების თავიდან
აცილების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ შეფასდეს
დამაკმაყოფილებლად.
2. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სიღნაღის რაიონულ
სასამართლოში (ქ.სიღნაღი, ც. დადიანის ქ.№15) განკარგულების მიღებიდან
ერთი თვის ვადაში.

ილია ხატიაშვილი



მოგახსენებთ, ანგარიშს „კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების მიზნით გაწეული მუშაობის და შემდგომში გავრცელების თავიდან აცილების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, კორონავირუსის ეპიდემიად (შემდგომში პანდემია) გამოცხადების შემდეგ, საქართველომ დაიწყო კორონავირუსის პრევენციისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება მისი თავიდან აცილების მიზნით. შესაბამისად, გარკვეული ღონისძიებების იმპლემენტაცია ხდება, როგორც რეგიონულ, ასევე, რაიონულ დონეზე.

შესაბამისად, წარმოგიდგენთ, 22.05.2020-ის მდგომარეობით „ა(ა)იპ სიღნაღის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ მიერ, კორონავირუსის პრევენციის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს:

1. რეგიონალურ დონეზე შეიქმნა უწყებათაშორისი/საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც აქტიურად იყო ჩართული სიღნაღის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, სადაც მიმდინარეობდა ინფორმაციის მიმოცვლა და კოორდინაცია სხვადასხვა რაიონის წარმომადგენლებს შორის;
2. დაიწყო საინფორმაციო კამპანია, რაც გულისხმობს, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, არაქართველი მოსახლეობის (კერძოდ, ჩინელი) მოკვლევას, იმის დასადგენად, თუ როდის ჰქონდათ მათ უკანასკნელი ვიზიტი ჩინეთში ან კონტაქტი ჩინეთიდან ჩამოსულ ახლობლებთან. შესაბამისად, ხდებოდა მათი ინფორმირება ახალ კორონავირუსის სიმპტომებთან დაკავშირებით, რათა სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში; დროულად მიემართათ შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებისთვის;
3. ამავდროულად, დაიწყო საზღვარგარეთიდან დაბრუნებული პირების თვითიზოლაციაში გადავყანა, მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. შემოწმება მათი საცხოვრებელი სახლების ეპიდემიოლოგების მიერ, რაც გულისხმობდა 14 დღის განმავლობაში თითოეულზე, მათ ყოველდღიურ შემოწმებას სატელეფონო ფორმატით და კვირაში ერთხელ დაუგეგმავ ვიზიტს საცხოვრებელ მისამართზე. მიუხედავად დადგენილი პროტოკოლისა, სიღნაღის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, თვითიზოლაციაში მყოფი პირების შემოწმებას, ადგილობრივ პოლიციასთან ერთად, უზრუნველყოფდა ყოველდღიურად და ადგილზევე ხდებოდა მათი თერმო სკრინინგი და თვითიზოლაციის წესების დაცვის შემოწმება (სულ რაოდენობა, თვითიზოლაციაში მყოფი პირების იყო 126 ადამიანი, ხოლო დღიურად შესამოწმებელი პირების მაქსიმალური რაოდენობა - 96 პირი);
4. თვითიზოლაციაში მყოფი პირების მიერ, თვითიზოლაციის წესების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან“ შეთანხმებით ხდებოდა მათი საკარანტინე სიყრცეში გადავყანა (სულ - 5 შემთხვევა);
5. დაიწყო ყველა იურიდიული პირისათვის ბუკლეტებისა და ფლაერების გადაცემა და მათი საქმიანობისათვის შესაბამისი, სპეციფიური რეკომენდაციების გაცნობა;
6. საქართველოში, კორონავირუსის შიდა გავრცელების დაფიქსირების შემდეგ, დაიწყო ყველა ფიზიკური პირისათვის რეკომენდაციის მიცემა (საჭირო ტელეფონის ნომრები, კორონავირუსის სიმპტომატიკა), რათა საეჭვო სიმპტომატიკის აღმოჩენის შემთხვევაში, სწრაფად მომხდარიყო მათი გადავყანა/გამოკვლევა სამედიცინო დაწესებულებაში;
7. ასევე, პირი, რომელიც საქართველოში ჩაითვლება კორონავირუსზე შესაძლო შემთხვევად და დაფიქსირდება, რომ მას კონტაქტი ჰქონდა სიღნაღის მუნიციპალიტეტში, რამდენიმე საათში ხდება აღნიშნული პიროვნების კონტაქტების

- მოძიება და მის პასუხამდე, მათთვის რეკომენდაციების მიცემა (დღემდე, ასეთი იყო ორი შემთხვევა, სიღწალის მუნიციპალიტეტში სოფ. ტიბაანსა და სოფ. ძველ ანაგაში, სულ - 19 ადამიანი);
8. პირი, რომელიც ჩაითვლება უკვე კორონავირუსზე დადასტურებულ შემთხვევად და ფიქსირდება, რომ აღნიშნული პიროვნება იმყოფებოდა სიღწალის მუნიციპალიტეტში, „ა(ა)იპ სიღწალს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის“ ეპიდემიოლოგიის მიერ, დროულად ხდება აღნიშნული პიროვნების კონტაქტების მოძიება და შესაბამისად, მოძიებული კონტაქტების თვითიზოლაციაში გადაყვანა. შემდგომ, მათი მონიტორინგი 14 დღის განმავლობაში (ასეთი შემთხვევა იყო სიღწალის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნუკრიანში, სულ - 11 კონტაქტი);
9. დატრეინინგდა რამდენიმე თანამშრომელი, კორონავირუსზე PCR მეთოდით ცხვირჭახიდან ნაცხის აღებასთან დაკავშირებით. დღეის მდგომარეობით, სიღწალის ჯანდაცვის ცენტრის მიერ, აღებულია სულ - 142 ნიმუში;
10. უკვე აქტიურად მიმდინარეობს, სხვა ქვეყნიდან შემოსული სატვირთო მანქანის მძლოლების მოძიება და მათი ყოველდღიური მონიტორინგი, მათთვის ნიმუშების აღება და უზრუნველყოფს ტრანსპორტირებას „სიღწალის მუნიციპალიტეტის მერიის“ დახმარებით (სულ - 3 ნიმუში);
11. პაციენტს, რომელსაც აღნიშნება შესაბამისი სიმპტომატიკა, სიღწალის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ადგილზევე უღებს მათ ნიმუშებს და უზრუნველყოფს ტრანსპორტირებას „სიღწალის მუნიციპალიტეტის მერიის“ დახმარებით (სულ - 4 ნიმუში);
12. ახალი რეგულაციის მიხედვით, დაიწყო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმების (სულ - 39 ადამიანი) სხვადასხვა დაწესებულებების პერსონალის (სულ - 11 ადამიანი), მოხუცთა თავშესაფრის ბენეფიციარებისა (სულ - 62 ადამიანი), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირების (სულ - 23 ადამიანი), ნიმუშების აღება კორონავირუსზე, რაც გულისხმობს, მათთვის ნიმუშების აღებას ორ კვირაში ერთხელ. ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს „სიღწალის მუნიციპალიტეტის მერიის“ დახმარებით (დღეის მდგომარეობით, სულ - 135 ნიმუში);
13. პირები, რომლებიც იძახებენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას 2-3 დღიანი ცხელების ანამნეზით, სასწრაფო დახმარების ბრიგადასთან ერთად ადგილზე ვიზიტს ახორციელებს სიღწალის ჯანდაცვის ცენტრი და ხდება ერთობლივი გადაწყვეტილება პაციენტის ცხელების ცენტრში გადაყვანის თუ ადგილზე PCR მეთოდით ნაცხის აღების.